პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# წითელი მეომარი

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების

ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები:
ცალკე ხელის მომწერთათვის
1 თვით—35 კ., 3 თვით— 90 კაპ.
6 თვ—1 მ. 70 კ, 12 თვ.—3 მ. 20 კ.
წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა:
1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ.
6 თვით— 1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.
განცხ. ფასი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე-4-ზე—40 კ.

120 (1115) | ხუთშაბათი, 3 ივნისი 1926 წ, | 120 (1115)

## ვემზადოთ მეხუთე საარმიო ოლიმპიადისათვის

ივლისის შუა რიცხვებში თბილისში გაიმართება კავკასიის წითელდროშოვან არმიის მეხუთე საარმიო სპორტიული ოლიმპიადა, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ჩვენი ქართული ნაწილებიც.

აღნიშნულ ოლიმპიადას დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტის სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეში წითელ ჯარში.

ოლიმპიადა დაგვანახებს ყველა მიღწევებს და დეფექტებს, რომელსაც ადგილი ქონდა წითელი ჯარის სპორტ მუშაობაში ამ უკანასკნელ წელში და აგრეთვე საშვალებას მისცემს ნაწილებს ერთიმეორეს გაუზიარონ თავიანთი გამოცდილებები ამ დარგში.

სპორტის მნიშვნელობა წითელ ჯარში მეტად დიდია. ის ხელს უწყობს წითელი ჯარის რიგების განმტკიცებას და გამაგრებას. მომავალი ომი მოითხოვს ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღ, ღონიერ და ფხიზელ მეომარს. ფართედ დაყენებული სპორტი წითელ ჯარში სწორედ ასეთ მეომარს იძლევა.

ამიტომაც ერთერთ ჩვენ მთავარ ამოცანას შეადგენს სპორტის ფართოდ გავრცელება წითელ ჯარში და მისი ჯეროვან სიმაღლეზე დაყენება. ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს მომავალი ოლიამპიადა.

საარმიო ოლიმპიადის წინ ჩატარებული იქნება სპორტიული შეჯიბრები დივიზიების ფარგლებში.

ჩვენი ნაწილები ამ თავითვე უნდა შეუდგენ ამ ოლიმპიადისათვის მზადებას.

საბანაკო პერიოდი დიდათ უწყობს ხელს სპორტის ყველა სახეების განვითარებას ჩვენს წითელ ჯარში. უნდა ვეცადოთ, რომ ამ საქმემ საფუძვლიანად მოიკიდოს ფეხი ჩვენს ნაწილებში. მარტო ოლიმპიადისათვის მზადებით არ უნდა გათავდეს ამ მიმართულებით მუშაობა. სპორტს მუდამ საპატიო ადგილი უნდა ქონდეს ნაწილების მუშაობაში, ვინაიდან ის ხელს უწყობს წითელ მებრძოლების ფიზიკურ გამაგრებას, ჯანმრთელობის განმტკიცებას, საბრძოლო უნარის ამაღლებას. მაშასადამე ოლიმპიადის შემდეგაც საჭიროა სისტემატიური ზრუნვა და მუშაობა სპორტის საქმის კარგად დასაყენებლად.

ჩვენი ამოცანა არის სპორტიულ მუშაობაში ჩავითრიოთ ყველა მებრძოლები. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მომავალი ოლიმპიადაც. ის ჯამს გაუკეთებს წარსული მუშაობას და მიგვითითებს იმ გზებზე, რომლითაც უნდა წარიმართოს მომავალში სპორტის მუშაობა წითელ ჯარში.

მეტი ყურადღება სპორტს ნაწილებში!

ემზადეთ საარმიო ოლიამპიადისათვის.

## ფაშისტურ დიკტატორობისაკენ

პოლონეთის ეროვნულ კრებამ პრეზიდენტად აირჩია პილსუდსკი. საკვირველი აქ არაფერი არ არის ცხადია. ვის აირჩევდა ეროვნული კრება თუ არა იმ ადამიანს, რომელმაც რამოდენიმე დღის განმავლობაში მოახდინა გადატრიალება და რომლის განკარგულებაში იმყოფება საკმაო რაოდენობა შეიარაღებული ძალისა. მაგრამ გაკვირვება შეიძლება გამოიწვიოს პილსუდსკის უარმა პრეზიდენტობაზე. ძლევამოსილმა მარშალმა უარი სთქვა პრეზიდენტის ადგილის დაკავებაზე.

რაშია საქმე? რად მორცხობს პანი პილსუდსკი? თუ ღრმად ჩაუკვირდებით პილსუდსკის საქციელს გავიგებთ, რომ საკვირი აქ არაფერი არ არის.

პილსუდსკის არ აკმაყოფილებს პრეზიდენტის უფლებები, რომლებიც საგრძნობლად შეკვეცილი არის ბურჟუაზიული სეიმითა და სენატით. პილსუდსკის სურს, რომ ის იყოს განუსაზღვრელი ბატონი პოლონეთში. რომ დათანხმდეს პრეზიდენტობაზე, მაშინ ის იძულებული იქნება დაემორჩილოს არსებულ კანონებს. ამიტომაც ის არჩევს თავისი ჯარის სათავეში იდგეს და პრეზიდენტობა სხვა რომელიმე თავის მომხრეს დაუთმოს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პილსუდსკიმ ხელი აიღო თავის მიზანზე—შეიქნეს პოლონეთის დიქტატორი და გაამეფოს ფაშისტური ძალადობა. რომ ეს ასეა ამას მოწმობს ის გარემოება, რომ მსხვილმა მრეწველებმა მხარი დაუჭირეს პილსუდსკის ეროვნულ კრებაში მისი პრეზიდენტად არჩევის დროს.

პოლონეთის მსხვილი ბურჟუაზია ნატვრობს ფაშისტურ დიკტატურას. და ის წინააღმდეგი არ იქნება პილსუდსკის კანდიდატურისა ფაშისტურ დიკტატორის თანამდებობაზე.

უკეთეს ერთგულ მონას პოლონეთის მსხვილი კაპიტალი ვერ იშოვნის.

პანი პილსუდსკიც ამ მიზნისკენ მიილტვის. მიაღწევს თუ არა მას, ამას გვიჩვენებს ახლო ხანი.

—ე.

# პოლონეთის პრეზიდენტათ არჩეულია პილსუდსკის კანდიდატი პროფ. მოსციცკი

## ლენინგრადის პროფკავშირებმა ინგლ. მაღაროს მუშების დასახმარებლად შეკრიბა 250.000 მან.

### მოსციცკი დასთანხმდა

მოსციცკი დასთანხმდა პრეზიდენტობაზე. საპრეზიდენტო ფიცს მიიღებს ეროვნული კრების სხდომაზე 2 ივნისს.

### პრეზიდენტი ქიმიკოსი

პრეზიდენტი მოსციცკი, რომელიც წამოყენებული იქნა პრეზიდენტის კანდიდატურაზე პილსუდსკის მიერ, არის ლემბერგის უნივერსიტეტის პროფესორი და განაგებს შხამიან ქიმიური აირების ქარხანას ხორგსოვში. პროფესორი არჩეული იქნა პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტათ 281 ხმით—200 ხმის წინააღმდეგ.

### სამხედრო ცენზურის ქვეშ.

ვარშავის რადიო სადგური ისევ სამხედრო ცენზურის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება.

### ცარიელი ხელებით

სამხრეთ სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრი ნინჩიჩი დაბრუნდა პარიზიდან ბელგრადში ცარიელი ხელებით. როგორც ამბობენ მას უნდოდა დაედვა საფრანგეთთან მეგობრული ხელშეკრულება.

### ბრიანი ქინიანოზს

საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ უარყო მთავრობის წინადადება ფინანსიური რეფორმის გარშემო კამათის გადადების შესახებ და დაადგინა გადავიდეს დაუყონებლივ მთავრობის ფინანსიური პოლიტიკის განხილვაზე. ბრიანმა განაცხადა, რომ კამათს უდროოულად სთვლის ფინანსიური რეფორმის შესახებ.

თუ პალატა უარს იტყვის განცხადებაზე—ენდობა თუ არა ამ მთავრობას, მთავრობა იძულებული იქნება გადადგეს.

## საბჭოთა კავშირში

### დახმარება ინგლისის მაღაროს მუშებს.

ლენინგრადის პროფესიონალური კავშირების მიერ, პირველი ივნისისათვის შეკრებილი იქნა ინგლისის სამთამადნო მუშების დასახმარებლათ 250,000 მანეთი.

## საქართველოში.

### ახალი ელსადგური

რაჭის სამაზრო ქალაქ ონში გაძლიერებული მუშაობა სწარმოებს ელსადგურის ასაგებათ. მიწის სამუშაოები უკვე დამთავრებულია. გაყვანილია არხი. ამჟამად სწარმოებს მუშაობა გვირაბის გასაყვანათ.

### ექსკურსია ა. კ. გამოფენაზე

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, ახალქალაქის მაზრას მიეცა 64 ადგილი ექსკურსანტების გასამგზავრებლათ. განზრახულია გამოფენაზე გაიგზავნოს უმეტესათ გლეხური მასა.

#### ახალი გადაფრენები

ივნისის პირველ რიცხვებიდან დაიწყება მფრინავი სნეგირევის დიდი გადაფრენა შემდეგი მარშრუტით: მოსკოვი—ხარკოვ—სევასტოპოლ—როსტოვ—დონ — ბორისოგლებსკ—ლიპეცკ—გომელ—სმოლენსკ—ვიტებსკ — ლენინგრად—მოსკოვი. სულ მთლად გადასაფრენია 6,000 კილომეტრი. გადაფრენას მეთაურობს ავიაქიმი და ავიოტრესტი.

# ამხ. სტალინი ტფილისში.



1 ივნისს ტფილისში ჩამოვიდა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას გენერალური მდივანი ამხ. სტალინი (ჯუღაშვილი). სტალინთან ერთად ტფილისში ჩამოვიდა ს. კომპარტიის ცეკას წევრი ამხ. ა. მიქოიანი. ამხ. სტალინი ტფილისში დარჩება რამოდენიმე დღე.

## მავნებლები

სვირის რაიონში გაჩნდენ ვაზის მავნებლები—მატლები. ვენახები დაზარალებულია ამის გამო 15 პროცენტით.

## მდინარის წინააღმდეგ

მდინარე ცხენის წყლის სანაპიროების გასამაგრებლად დიდი მუშაობა სწარმოებს ამჟამად. დამთავრებულია დამბეჭი და ქვის სიმაგრეები სოფ. ხონწსა და ნაგვაზაოში. მდინარე გადაგდებულია სხვა მიმართულებით, რამაც საშვალება მისცა გლეხებს დამშვიდებით აწარმოონ მუშაობა მინდვრად.

ამჟამად კეთდება სიმაგრეები სხვა საშიშ ადგილებზე.

## ა.-კავკ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა



სასოფლო სამეურნეო გამოფენას ყოველ დღე ემატება ახალ-ახალი ფირმების მანქანები: სხვადასხვა ტეხნიკურ მიზეზების გამო ევროპას და ამერიკის ზოგიერთ ფირმებს დაუგვიანდათ თავიანთ ნაწარმოებთა ნიმუშების გამოტანა.

გამოფენის მთელი მოედანი აფერადებულია პავილიონებით. პავილიონებში უამრავი ხალხი ტრიალებს დილიდან საღამომდე. ყოველ განყოფილებას ყავს თავისი წარმომადგენელი, რომელიც იძლევა საჭირო ახსნა-განმარტებას.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## სისტემატიურად ვმეცადინეობთ.

მე-3 ლეგ. 1 ასეული.

ასეულს დიდი შრომის გაწევა უხდება ლეგიონის ბანაკში გასვლის შემდეგ. ყაზარმაში დატოვების შემდეგ ჩვენს ასეულს დააწვა განწესების მთელი სიმძიმე, რაც ძლიერ გვიშლის ხელს სხვა და სხვა გვარი მეცადინეობის წარმოებაში. მიუხედავად ამისა ნაწილის პარტსკოლის მუშაობა მაინც ნორმალურად მიმდინარეობს თითქმის. ნაწილდება თემები მსმენელებს შორის და კეთდება მოხსენებები, რომლებშიაც ყველა ამხანაგები ღებულობენ მონაწილეობას. ხელმძღვანელი კარგი გვყავს, დიდ ყურადღებას აქცევს იმას თუ როგორ ამუშავებენ ამხანაგები თემებს. აძლევს სათანადო დირექტივებს, მითითებებს და უხსნის მათ სხვა და სხვა გაურკვეველ საკითხებს.

იმედი გვაქვს ბანაკში გასულ ჩვენს ლეგიონს არ ჩამოვრჩებით ამ მხრივ მუშაობაში.

კოკელაშვილი.

## ჩვენც დაუკავშირდით.

1-ლი ლეგიონი.

25 მაისს 1 და 2 ქართულ ლეგიონში შესდგა ნაწილების ახკომკავშირელთა გაერთიანებული კრება ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციასთან. გაკეთებული იქნა მოხსენება წითელი ფლოტის სამ დღიურის შესახებ. დაწვრილებით იქნა გაშუქებული თუ რა მნიშვნელობა აქვს ფლოტს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსათვის და როგორი აგიტაცია უნდა გავსწიოთ მისი გაძლიერებისათვის მოსახლეობაში. მომხსენებელმა მოუწოდა ამხანაგებს მიიღონ მონაწილეობა მის მუშაობაში. მოხსენების ირგვლივ გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლიუცია.

შემდეგ აღნიშნული იქნა თუ რა მნიშვნელობა აქვს ახკომკავშირის სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციებს ერთმანეთთან დაკავშირებას, განსაკუთრებით კი ბანაკად ყოფნის დროს. მან მოუწოდა დამსწრე ამხანაგებს გაიმსჭვალონ ამ მნიშვნელობით და გაერთიანებული ძალებით მიყონ ხელი ჩვენი სოფლების გამოფხიზლების საქმეს. ხელი მოკიდონ გასამხედროებისათვის წარმოებულ მუშაობას და შეიტანონ შიგ თავისი წვლილი.

თ. ნ—ლი.

## ჩვენი პარტსაქმიანობიდან

მე-6 ლეგიონი.

ცვალებადელების მოსვლისთანავე აყვანილი იქნენ აღრიცხვაზე პარტიის წევრები, კანდიდატები და ახკომკავშირელი ცვალებადელები. საერთო რიცხვის გამოკვლევის შემდეგ ლეგიონის ბიურო კოლექტივმა დაარსა ორი პირველი საფეხურის პარტსკოლები. დაარსებული იქნა აგრეთვე ახკომკავშირის სკოლები. ერთი მათგანი რუსულია. თვითეულ სკოლაში ირიცხება 25—30 კაცამდე. სულ დაარსებულ იქნა 11 სკოლა. ყველა სკოლებს ყავთ ბიურო კოლექტივის მიერ გამოყოფილი ხელმძღვანელები.

მეცადინეობა იწარმოებს შემდეგი წესით: მსმენელთა მთელი რიცხვი დაყოფილ იქნება ჯგუფებათ, რომლებსაც დაენიშნებათ თვით მსმენელთა წრიდან უფრო მომზადებული ამხანაგები. თემები დაიყოფა სხვა და სხვა საკითხებათ და თითეული ჯგუფი დაამუშავებს თითეულ საკითხს მორიგ მეცადინეობის დროს ხელმძღვანელის შესაფერი მითითებით.

ერთი ამხანაგი გააკეთებს მოხსენებას და შემდეგ სხვებიც ღებულობენ მონაწილეობას კამათში. დასასრულ დგება კონსპექტი.

გავლილი იქნება პოლიტგანყოფილების მიერ მითითებული 12 საუბარი.

პირველი მეცადინეობა უკვე ჩატარდა 29 მაისს.

ახალწვეულები ძლიერ დაინტერესებული არიან მუშაობით. სამწუხაროდ სკოლის ხელმძღვანელების უმრავლესობა ძლიერ დატვირთული არიან და თუ არ მოხდა მათი განტვირთვა, საეჭვოა რომ შესძლონ დავალებული საქმის შესრულება.

ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

—ლი.

# სამხედრო სწავლება ბანაკში

## „მაქსიმის" სამხაზიანი ტყვიამფრქვევის გასინჯვა-დათვალიერება *)

7. ა) ქდენთილი ისე უნდა იყვეს დახვეული, რომ არ უშლიდეს ლულას თავისუფალ მოძრაობას რიფში, რისთვისაც თუ ტყვიამფრქვევს მივცემთ ამაღლების კუთხეს, ლულა თავისუფლად უნდა გამოდიოდეს უკან და წინაამდეგ.

ბ) სახელურს და გლუნს შორის ორი ქაღალდი ძლივს უნდა გადიოდეს, სამი კი უნდა იხეოდეს.

8). ტყვიამფრქვევი ისინჯება ყალიბ საზომებით—შემდეგებით.

№ 1 უდრის 0,300 დუიმისას. ის უნდა გავიდეს დრუში.

№ 2 უდრის 0,206 დუიმ. ის არ უნდა გადიოდეს, თუ გადის ისინჯება ლულა მისროლით და თუ არ აქვს კარგი მიტანა—გამოუსადეგარია.

№ 3 უდრის 0,318. არ უნდა შევიდეს ლულაში.

№ 4 ისინჯება ლულის სავაზნე უნდა შევიდეს პირველ ხაზამდე და არ უნდა შევიდეს მეორე ხაზამდე.

№ 5 ისინჯება დრუ საომარი თასაში.

№ 6 ისინჯება დამცემის წვეტი გამოსვლისას.

№ 7 ისინჯება ლულის დრუს დაკეტა. დასაკეტი უნდა ფარავდეს და შედიოდეს მასში.

№ 8 ისინჯება იგივე, მხოლოდ არ უნდა შედიოდეს და არც ფარავდეს.

№ 9 ისინჯება თასის წიბოები.

№ 10 თასი დასაწუნებელია.

№ 11 იზომება მანძილი თასის გადაკეცილიდან—გადაკეცილამდე. თუ მოწეულია უნდა გაიგზავნოს სახელოსნოში გასაწევად.

ლულის დაკეტის დროს დასაშვებია მანძილი თასის და სავაზნეს შორის 0,002 დუიმი, საკეტი უნდა მიდიოდეს ძლიერ ახლოს სავაზნესთან, მაგრამ მათ შორის უნდა რჩებოდეს მცირე სივრცე; დაკეტა იზომება გულიბ საზომით. № 8 შეიძლება აგრეთვე გასინჯვა ვაზნით. უნდა ამოვარჩიოთ საშვალო ვაზნა, ვინაიდან ვაზნებშიც არის განსხვავება, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდენ 0,059 დუიმიდან—0,076 დუიმამდე. უნდა ჩავდვათ ვაზნა თასაში და თანდათან მოუმატოთ სადებები, რომ აღარ შეიძლებოდეს დაკეტა, შემდეგ უნდა გამოვაკლოდ სადები ერთი ცალი და კლიტე იქნება სწორად მორგებული საკაზნეზე.

ლ. პიფიანი.

*) იხ. გაზ. „წით. არმიელი" № 119.

## ხელოვნური დაბრკოლებანი.

შეტევაზე გადასულ ჯარების სწრაფი მოქმედება, გამარჯვებით ამთავრებს იერიშს. სისწრაფე მოქმედებაში საშვალებას უსპობს მოწინააღმდეგეს შესაფერად მოემზადოს თავდაცვისათვის და უკარგავს მას უნარს შეამჭიდროვოს თავისი ძალები. თავდამცველს აღარ რჩება დრო, მიზანში ამოიღოს შეტევაზე გადასული მოწინააღმდეგე და მიმართოს მისკენ თავისი ცეცხლი.

ამ შემთხვევაში მიმართავენ ხელოვნურ დაბრკოლებებს, რომ შესაძლებელი შეიქნეს იერიშზე გადმოსულის შეჩერება.

დაბრკოლებებს ამზადებენ ორგვარს: მუდმივი ხასიათის და დროებითი ხასიათის (რომლის გადატანაც შეიძლება ერთი ადგილიდან—მეორეზე) დაბრკოლებებს. ეს დამოკიდებულია ბრძოლის პირობებზე. როდესაც, მაგალითად, თავდამცველი იმყოფება იერიშზე გადმოსულ მოპირდაპირის ცეცხლის ქვეშ, ე. ი. მას საშვალება არა აქვსააგოს მუდმივი ხასიათის დაბრკოლებანი, მაშინ ის აწყობს დროებითი სახის დაბრკოლებებს.

ჩვეულებრივად, ხელოვნური დაბრკოლებების ასაგებათ იხმარება ეკლიანი მავთული.

ყველაზე უფრო გავრცელებული წესია საჭირო ადგილებში ხის ბოძების ჩასმა მიწაში ღრმად და შემდეგ მათი გაბლანდვა ეკლიანი მავთულის სქელი ბადით.

ბოძების—მანების ჩასმა ხდება ჭადრაკის წესით 4—5 რიგათ და იბლანდება მავთულით. ასეთ დაბრკოლებებს აწყობენ რამოდენიმე რიგათ. უკანასკნელი მსოფლიო ომის დროს, იყო ისეთი შემთხვევები, რომ ეკლიან მავთულით ეწყობოდა ხელოვნური დაბრკოლება 20 რიგათ.

მავთულის ბადე ეწყობა მოწინავე სანგრების წინ. ისეთ მანძილზე დაცილებით და ისეთ ადგილებში, რომ მასთან მოსული მოპირდაპირის სროლის ცეცხლში მოქცევა ადვილად შეიძლებოდეს.

ბრძოლის პირობებში მავთულის ასეთი ბადეების მაგიერ ეწყობა მავთულის ხირხალი, ზღარბულა, მავთულის ხვია ან რკინის ჩარჩოებში სპეციალურად დამზადებული გასაშლელი მავთულის ბადე.

ხირხალი მზადდება 2—3 ჯვარედინად გაკეთებულ ლატნებისაგან, რომლებიც გადაჭედობილი არიან ერთმანეთზე და დამაგრებული მავთულით.

შეტევაზე გადასვლისათვის ერთ უძნელეს დაბრკოლებათაგანს წარმოადგენს მავთულის ხვია. მას ამზადებენ წინასწარ, ხოლო პოზიციაზე ადვილად შეიძლება გაიშალოს და შეუმჩნეველი იქნეს მტრისთვის ბალახებში ჩამალვით.

ასეთი შენიღბვის წყალობით, შეტევაზე გადასული შეუმჩნევლად წააწყდება ამ დაბრკოლებას და შეიძლება დიდი ზარალი მიადგეს.

ტყეში ხელოვნურ დაბრკოლებებს ამზადებენ ხეების მოჭრით ან უკვე მოჭრილ ხეებისა და დიდი კუნძების ჩახორგვით. ასეთ დაბრკოლებას ეწოდება ჩახერგილი, ჩანაკაფი დაბრკოლება.

ხეები და შტოები ეწყობა რიგ-რიგათ და ამაგრებენ მიწაზე მავთულით. ხშირად, რომ ჩანაკაფობა მიუდგომელი იქნეს მტრისათვის, ახვევენ ეკლიან მავთულს.

ხელოვნური დაბრკოლებების გადალახვა—დამსხვრევა სწარმოებს არტილერიის ცეცხლით, ტანკებით და სხვა.

უფრო ხშირად კი ასეთი დაბრკოლებების გადალახვა უხდება ქვეითა ჯარს, რომელიც სჭრის მავთულებს სპეციალური მაკრატლებით. იერიშის დროს მცირე დაბრკოლებებს ამსხვრევენ ხელის გრანატებით.

# ბანაკში განამტკიცე ჯანმრთელობა

## როგორ უნდა გაამაგრო კანი

ზამთრის სიცივე გვაიძულებს დავმალოთ ჩვენი სხეული ტანსაცმელში და თბილ ყაზარმაში. და მხოლოდ ზაფხულში ბანაკობის დროს საშუალება გვეძლევა კარგად გამოვამზეუროთ ის.

რამდენათ ეს საჭიროა და სასარგებლო?

საქმე იმაშია, რომ ჩვეულებრივი კვების გარდა, ადამიანის ორგანიზმი საჭიროებს „საჰაერო" კვებასაც, რომელიც შესაძლებელია იყოს სხვა და სხვანაირი, როგორც ხარისხის მიხედვით, ისე რაოდენობის მხრივაც.

ყაზარმებში, სადაც ზამთარში მიმდინარეობს წითელ არმიელის ცხოვრების მეტი წილი—ეს „საჰაერო კვება" არ არის საკმარისი.

ბანაკი ამ მხრივ ცხადია სჯობს ყაზარმას.

სუფთა, გრილი ჰაერი. ნაძვნარისა და ყვავილების სურნელოვანი სუნი. დღისით და ღამითაც შეგიძლია ისუნთქო მთელი მკერდით, და არა თუ მკერდით, არამედ კანითაც. კანიც ხომ სუნთქავს! ყაზარმებში ჩვეულებრივად მარტო პირისა და ხელის კანია ჰაერზე.

ამიტომაც საჭიროა ბანაკობის დროს კანის გამაგრება ჰაერში, მზის სხივებში და წყალში ბანაობით.

კანს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო როგორც სხეულის საფარს. მას გამოყავს აგრეთვე ოფლი და ქონი, გვემსახურება სითბოს, სიცივის და ტკივილებების შეგრძნობაში. ყველასათვის ცნობილია, რომ სიცივეში კანი ფითრდება, ხოლო როცა სიცხეა—წითლდება.

სისხლის ასეთი თამაშით მილებში ნორმალურ მდგომარეობაში მოდის ჩვენი სხეულის ტემპერატურა.

მაშასადამე ის აქაც განაგებს. ამრიგად კანი მეტად მნიშვნელოვანი და რთული ორგანოა და მისი მდგომარეობის დამიხედვით არკვევენ ადამიანის ჯანმრთელობას.

კანის გამაგრება ბანაკში იმაში კი არ მდგომარეობს, რომ აუცილებლად მუდამ მზეზე იწვე და ყოჩანივით გაშავდე: ასეთი „გულმოდგინეობით" ის უკეთესი არ შეიქნება.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ საჰაერო ვანებსაც ჩრდილში არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს კანის გასამაგრებლად, ვიდრე მზის სხივებს, განსაკუთრებით ბანაობას.

ბანაობის დროს წყლის მოქმედებას კანზე თან ემატება კუნთებისა და სუნთქვის ვარჯიშობა.

მხოლოდ გაძლიერებული მოძრაობა იწვევს ჰაერის შიმშილს, აიძულებს ფილტვებს ბლომად იკვებოს ბანაკის სუფთა ჰაერით.

ყაზარმაში მებრძოლი უნდა დაბრუნდეს მხნე და ჯანსაღი.

რ.

## ვფიქრობდი-კარგად და გამოვიდა კი-ცუდად

ამბულატორიაში ექიმთან მოვიდა ავადმყოფი. ის მეტად შესაცოდებლათ გამოიყურებოდა. როდესაც თავის ავადმყოფობაზე ლაპარაკობდა ის ოხრავდა და სკამზე ძლივს იჯდა. „ექიმო! მტკივა თავი და მთელი სხეული, გვერდებზე და ზურგზე ხელის მიკარება არ შემიძლია, ოხ, მიშველეთ, მომარჩინეთ როგორმე—კვნესოდა ავადმყოფი.

ექიმმა სთხოვა ავადმყოფს, რომ მას ტანზე გაეხადა. მაგრამ რას ნახავთ? მთელი ტანი ავათმყოფისა ძალზე გაწითლებულიყო. კანი ძლიერ დამწვარი ქონდა და ხელით მასზე მიკარება ტკივილს იწვევდა.

როგორც შემდეგ გამოირკვა ამ ამხანაგს ერთ დღეს მოუსურვებია მზის ვანების მიღება. ამისთვის გაუძვრია ბლუზა და პერანგი და ამ სახით დაუწყია მზეზე სიარული. მთელ დღის განმავლობაში იგი ასე ტიტველი დადიოდა მზეში. და იმის მაგივრათ, რომ მზის ვანები მიეღო, კანი ძალზე დაიწვა და დაიზიანა. ეხლა ვიკითხოთ, რატომ მოხდა ეს ასე?

მზის სხივების შემადგენლობაში, სხვათა შორის, იმყოფება ისეთი, თვალისათვის უხილავი სხივები, რომლებსაც შეუძლია ძლიერი ქიმიური ზეგავლენა ან უკეთ ზემოქმედება, მოახდინოს ცოცხალი ორგანიზმზე. ამ სხივებს, მეცნიერები უწოდებენ „ულტრა-იისფერ სხივებს". ამ სხივებს დიდი სარგებლობა მოაქვს ჩვენი სხეულისათვის. სახელდობრ ის, რომ ის აძლიერებს სიცოცხლის პროცესებს ორგანიზმში.

მიწაში ეს სხივები სრულებით ვერ გადის. და ამიტომ ცხადია, რომ მისით სარგებლობა შეიძლება არა ოთახში, არამედ გარეთ ჰაერზე.

კანის დაწვას, სწორედ ეს სხივები იწვევს. სხვათა შორის ეს სხივები ყველაზე უფრო ანადგურებს მიკრობებს.

მაგრამ ამ ქიმიური სხივებით სარგებლობა უნდა მიზანშეწონილი იყოს. მას თანდათანობით უნდა შეაჩვიო სხეული, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ამ სხივებს შეუძლია კანის დაწვა და ამ ნიადაგზე სხვა სახიფათო ავადმყოფობის გამოწვევა. რასაკვირველია, ავადმყოფობის თავიდან აცდენა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ მზის ვანების მიღებას დავიწყებთ ნახევარი საათიდან, ვიდრე ორი საათამდე. მზეში გაჩერების და ამ გზით ვანების მიღებისათვის ეს დრო საკმარისი არის. მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ პირველ დღეს ნახევარი საათით მზეში დგომის შემდეგ, მომავალი დღეებისათვის მზეში გაჩერების დრო ნელ-ნელა გავადიდოთ. ასეთი ნელი შეჩვევით, ჩვენ კანს კი არ დავიწვავთ, არამედ პირიქით ჩვენ შევსძლებთ სარგებლობა მოუტანოთ ჩვენს ორგანიზმს. აგრეთვე მზის ვანები უნდა მივიღოთ ტანის დაბანვამდი და არა ტანის დაბანვის შემდეგ. ტანის დაბანვის შემდეგ მზეს შეუძლია ძლიერ დასწვას კანი. ეს კი მაინც და მაინც სასარგებლო არ იქნება.

ლ. გ.

# ახალწვეული ცვალებადელები ენერგიულად მეცადინეობენ

## ჩვენი ყოფა-ცხოვრებიდან.

მე-6 ლეგიონი.

გათენდა... მზემ თავისი ნათელი სხივები უხვათ მოაფრქვია ყაზარმას... საამური დილაა... ქალაქი ახმაურებულია. წითელარმიელნი წამომდგარნი არიან: ზოგი მათგანი მიეშურება პირის დასაბანათ, ზოგნი უკვე ჩაცმულნი დასეირნობენ ეზოში. ყველა კარგ გუნებაზეა. ჩაის დალევის შემდეგ არმიელნი მოგროვდნენ ეზოში და გაიმართა საუბარი. მეთაურნიც აქ არიან, ამხანაგურად ესაუბრებიან არმიელებს.

—ამხანაგო, კარგი იქნება, რომ დავათვალიერებდეთ ქალაქს, აქ ბევრი დაწესებულებაა, ბევრი ქარხანაა, რაც ჩვენ არ გვინახავს, მათი გაცნობა სასარგებლოა ჩვენთვის—სთქვა ერთმა არმიელმა და სხვებმაც მხარი დაუჭირეს.

არ გასულა დიდი ხანი და გაისმა ბუკის ხმა. მორიგე მეთაური იძლევა განკარგულებას ასეულებიდან და გუნდებიდან წყობილების გამოყვანისა.

მოეწყო პირველი ათასეულის ერთი ნაწილი. აქ არის ლეგიონის ორკესტრიც. დაიძრა წყობილება. ორკესტრმა მოჰფინა ქუჩებს მხიარული ჰანგი. მივედით სარევოლუციო მუზეუმში. აქ დაგვყვეს ჯგუფებათ და დაგვინიშნეს ლექტორები, რომლებიც დაწვრილებით გვიხსნიდნენ ყველაფერს. წითელარმიელები დაინტერესა არსენა ჯორჯიაშვილის მიერ გენერალ გრიაზნოვის მოკვლამ. გაეცვნენ რევოლიუციონურ მოძრაობის სხვა და სხვა ეტაპებს და რევოლიუციის მოღვაწეებს.

ექსკურსიამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წითელარმიელებზე და ყველა ნასიამოვნები დაბრუნდა ყაზარმაში.

ე—ლი.

## ცხენებს კარგად უვლიან.

მე-2 არტლეგიონი.

მოვიდენ თუ არა ცვალებადელები ნაწილში, მეთაურებმა და ძველ წითელ არმიელებმა დაწვრილებით გააცვნეს მათ ცხენის როლი სამხედრო საქმეში და მათი მოვლის წესები. ახალწვეულებმა სულ რამოდენიმე დღეში შეისწავლეს ცხენების მოვლა-გაწმენდა. მას შემდეგ დიდი მზრუნველობით ეკიდებიან ცხენებს.

ამხანაგებმა კარგად შეიგნეს თუ რა დიდი საქმის გაკეთება შეუძლია ცხენებს ნაწილში და ამიტომ მთელი თავისი ენერგიით ეკიდებიან მათი მოვლის საქმეს.

პ. კახიძე.

## კარგად გვამეცადინებენ.

მე-4 ლეგ. საკავშირო ასეული.

ჩვენ ცვალებადელები ძლიერ გახარებული ვართ, რომ ასე დიდ ყურადღებას გვაქცევენ ყაზარმაში. სოფელშიც გვგვეგონა, რომ წითელი ყაზარმა სკოლაა, სადაც ყველაფერს სწავლობენო, მაგრამ თუ ასე მზრუნველობით მოგვეპყრობოდენ ყველანი—წითელარმიელებიდან დაწყებული მეთაურებამდე—ვერ წარმოგვედგინა.

მეცადინეობის დროს, თავისუფალ საათებში—დასვენების და სხვა დროს ყველგან და ყოველთვის გამოსჩანს ეს მზრუნველობა.

ყოველ თავისუფალ საათებში ჩაგვიჯდება შუაში ჩვენი ამგამგე და გვიკითხავს სხვა და სხვა წიგნებსა და გაზეთებს.

27 მაისს გამართა მან საუბარი, რომელშიაც ახალწვეულებიც ჩაგვითრია. მოვიდა შემდეგ კავშირის უფროსი და მანაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო საუბარში, მან დაწვრილებით გვიამბო წითელი არმიის ისტორიის შესახებ და ისიც გაგვიზიარა თუ რა დიდი მოვალეობა აქვს მას მსოფლიო მშრომელების განთავისუფლების საქმეში.

ნაწილში მოწყობილი გვაქვს ლენინის კუთხე, სადაც ვიყრით თავს სამხედრო მეცადინეობის შემდეგ და ვისმენთ საუბრებს სხვა და სხვა საკითხების გარშემო.

ცვალებადელი გრ. ელბაქიძე.

## მეცადინეობა ახალწვეულებთან

მე ლეგიონის 3 ათასეული ლეგიონში მისვლისთანავე სამე ათასეული მოთავსებული იქნა პირველი ლეგიონის ყაზარმებში თავისი ცვალებადელებით. პირველადვე ვიწყეთ ორგანიზაციული ჩამოყალიბებისათვის მუშაობა, რომ უფრო წარმატებით წარმოებულიყო თეორიული მუშაობა. სამხედრო მეცადინეობა კარგად მიმდინარეობს ჯერ ჯეროთ. ენერგიულად მიმდინარეობს პოლიტიკური მეცადინეობაც. ათასეული დაყოფილია 12 ჯგუფად. თითეული ჯგუფისათვის გამოყოფილია სათანადოთ მომზადებული ხელმძღვანელები კომუჯრედის აქტივიდან. არის აგრეთვე შემდგარი ორი რუსული და ერთიც სომხური ჯგუფი.

წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი ათასეულში აღწევს 110 კაცამდე. მთელი ეს შემადგენლობა დაყოფილია ხუთ ჯგუფად, მათში ერთი ჯგუფი სომხურია.

ლენკუთხეები კარგად არის მოწყობილი; შეძლებისდაგვარად ყველაშია სხვა და სხვა განყოფილებები მოწყობილი.

სკოლის გარეშე მუშაობა სისტემატიურად მიმდინარეობს, რომელსაც უწევს ხელმძღვანელობას ლენკუთხის საბჭოები. შემუშავებულია სამეცადინო ცხრილი, რომელიც მტკიცედ ტარდება ჯერ-ჯერობით. გამოდის კედლის გაზეთები. დისციპლინა საუცხოვოა. საერთო განწყობილება და სამსახური სადმი დამოკიდებულება ძლიერ კარგია.

დ. ჭანკვეტაძე.

## ვსწავლობთ ტყვიამფრქვევს

მე-6 ლეგ. 3 ტყვიამფრქ. ასეული.

ასეულში ცვალებადელებიდან უმრავლესობას მცირე მცოდნენი შეადგენენ. ცოტანი არიან ძალიან კარგად მცოდნეები.

ამხანაგები დაყოფილი იქნენ სხვა და სხვა ჯგუფებათ და დაიწყო მათთან მეცადინეობა.

ასეულში ჩამოყალიბებული იქნა ამას გარდა სხვა და სხვა ბირთვები, პოლიტბირთვი, სამხედრო და მკითხველთა.

ცვალებადელები დიდი მონდომებით ეკიდებიან მუშაობას. ძლიერ დაინტერესებული არიან განსაკუთრებით ტყვიამფრქვევებზე მუშაობით.

ქ. მბელაძე.

## მეცადინეობა ისევ განვაახლეთ

2-ე ლეგ. 3-ე ასეული

მას შემდეგ, რაც ლეგიონი გავიდა საბანაკოთ, მესამე ასეული ძლიერ გამოცოცხლდა. დავაარსეთ სამხედროთა წრე, თვითგანვითარების, წერა-კითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაციის რუქების შემსწავლელი და მრავალი სხვა.

მეცადინეობა აღნიშნულ, წრეებში სისტემატიურად მიმდინარეობს ყოველ დღე.

ამას გარდა კარგად არის დაყენებული სამხედრო საქმის სწავლებაც.

დილით ყოველ დღე გამოვდივართ სასეირნოთ, შემდეგ იწყება ფიზკულტურა და მასვე მისდევს სამხედრო საქმეში მუშაობა, რაც მეტად აინტერესებს ამხანაგებს.

საღამოობით კი მოდიან ასეულში მეთაურები და ატარებენ საუბრებს სხვა და სხვა საკითხებზე.

თუ ასეთი ნაბიჯით წავიდა ჩვენი მუშაობა მალე გვეყოლება სამაგალითოდ მომზადებული წითელ არმიელები.

ლომსაძე.

# საბანაკო სწავლება და ცხოვრება

## გაჩაღდა მუშაობა.

1-ლი მესანგრეთა ასეული.

უკვე შეუდექით საბანაკო ცხოვრებას. მოვაწყვეთ საუცხოოთ ლენინის კარავი. სხვა საბანაკო ხასიათის მუშაობითაც არ ჩამოუვარდებით დივიზიის სხვა და სხვა ნაწილებს.

24 მაისიდან ნაწილი შეუდგა მეცადინეობას სპეციალურ და პოლიტიკურ დარგებში. მრავალი წითელარმიელები ეხლა ეჩვევიან საბანაკო ცხოვრებასა და მუშაობას, რადგან პირველად მოუხდათ ბანაკობა.

მიუხედავად ამისა ყველა დავალებები წესიერად სრულდება ამხანაგების მიერ.

დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე პოლიტიკურ მეცადინეობას. ხშირად ხდება კამათი სხვა და სხვა საკითხების გარშემო, რომელშიაც წითელარმიელებიც ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას.

ნაწილი ყოველდღე გადის ველში პრაქტიკული მეცადინეობის საწარმოებლად. ვმუშაობთ: აფეთქების, გაგნების, აგებისა, გზების გაყვანის და სხვა საქმეებში.

მანევრებისათვის აქედანვე შეუდექით აგრეთვე სპეციალურ სამზადისს.

ლ. გ—ძე.

## ჩვენი პარტსკოლის მუშაობა.

მე-3 ლეგ. 1 ასეული.

ასეულში დაარსებულია 1-ლი და მე-2-რე საფეხურის პარტსკოლა, სადაც ყოველ ორშაბათობით ეწყობა მეცადინეობა და ირჩევა სხვა და სხვა პოლიტიკური საკითხები. წითელ არმიელნი მხურვალე მონაწილეობას იღებენ მეცადინეობაში. საუბრების ჩატარება ევალებათ პარტიის წევრებს და კანდიდატებს. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე დავალება მათ მიერ სრულდება პირნათლად. პარტსკოლის საშვალებით ყველა წითელ არმიელები ნათლად ერკვევა პოლიტიკურ და საერთაშორისო საკითხებში. მომავალში იმედია მუშაობა უფრო გაფართოვდება და ჩვენ აღვიჭურვებით მომავლისათვის საჭირო ცოდნით.

ს. აბიკაშვილი.

## ჩვენი ასეულის კულტმუშაობა

პირველი ლეგიონის პირველი ათასეული ბანაკათ არ გასულა. იგი ლეგიონში დარჩა და კვლავ თავის მუშაობას ერთსულოვნათ აწარმოებს, როგორც სამხედრო დარგში, ისე ლიტწრეში და დრამატიულ წრეშიც.

ათასეულის დრამწრის შემწეობით 27 მაისს, ლეგიონის კლუბში გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნა „სიზმრათ გვირგვინი“ დრამა 4 მოქმედებათ.

წარმოდგენა კარგად ჩატარდა და კარგი შთაბეჭდილებაც დასტოვა დამსწრე საზოგადოებაზე.

აქვე აღსანიშნავია შემდეგი: ჩვენი ათასეულის შეფობის ქვეშ იმყოფება სოფ. დიღომი. და აი ჩვენ სოფ. დიღომთან კავშირის კიდევ უფრო გამტკიცებისათვის, სათანადო მუშაობის გაწევას შეუდექით.

პირველ ხანებში ჩვენს მიერ გამართული იქნა წარმოდგენა სოფ. დიღომში. სოფ. დიღომის გლეხობამ მეტათ სიხარულით და აღფრთოვანებით მიგვიღო. განსაკუთრებით მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა წარმოდგენის გამართვამ.

ვუსურვებთ ჩვენს ასეულს, რომ კიდევ უფრო გაასკეცებული ენერგიით შესდგომოდეს იგი სოფ. დიღომის გლეხობისათვის კულტურულ დახმარებას. ეს კი თავდები იქნება წითელი ჯარისა და სოფლის გლეხობასთან მჭიდრო კავშირის განმტკიცების.

ა. ბურჭულაძე.

## ვსწავლობთ ბრძოლას

ცხენ. ლეგიონი

ბანაკში ცხენ და ცხენ გაემგზავრა ჩვენი ლეგიონი. მიზანი იყო გზაში საბრძოლო წესით მოგზაურობა და სხვა და სხვა ტაქტიკური ამოცანების შესრულება. მთელი ლეგიონი დაიყო ცალკე ესკადრონებათ და სხვა და სხვა მიმართულებით გაუდგენ გზას ბანაკისაკენ. გზა და გზა ჩერდებოდენ ესკადრონები და მეთაურები იძლეოდენ სათანადო ახსნა განმარტებებს საბრძოლო წესების შესახებ.

მაგალითად: როგორ უნდა გაიგზავნოს თარეშები მტრის დასაზვერავად, თუ როგორ უნდა მოქმედებდენ ისინი და როგორია მათი მოვალეობა.

შემდეგ ისევ შევსხდებოდით ცხენებზე და განვაგრძობდით გზას. გზაში ახსნილი და პრაქტიკულად გავლილი იქნა აგრეთვე მტერზე იერიშის მისვლის წესები ცხენოსანი ნაწილებისაგან. საუცხოვო სანახავი იყო შეტევის დროს ნაწილი, როდესაც წინ მიქროდენ შუბებით შეიარაღებული, ხოლო ასი ნაბიჯის დაცილებით კი ხმლებით შ იარაღებული განყოფილებები და მიდიოდენ იერიშით.

საბრძოლო წესით მოძრაობა დიდი ნაყოფიერებით ჩატარდა.

არტორიქსი.

## სამხედრო!

თვალყური ადევნე:

როგორ მიმდინარეობს შენი ნაწილის „სამეურნეო ცხოვრება, როგორი სადილი მზადდება, როგორ უვლიან წითელ არმიელები ტანსაცმელს, იარაღს, ფეხსაცმელებს, ხომ არა აქვს სადმე ადგილი ზედმეტ ხარჯებს.

## მუშაობა განაკად

(1 ლეგიონი).

### ლენინის კარვები.

ბანაკათ ლეგიონის მიერ აგებულ იქნა ლენინის კარვები, რომელნიც მორთული არიან სურათებით და პლაკატებით. კარვები კარგა მოზრდილი არიან და იტევენ წითელ არმიელთა დიდ რიცხვს. კარვეებში ეწყობა წრეების მეცადინეობა, აგრეთვე აქ სწარმოებს კონსპექტების დამუშავება და მზადება პოლიტსაათისათვის.

სკოლის გარეშე მუშაობაში კარვები დიდათ გვიწყობენ ხელს. კარგი იქნება, რომ გაიყვანდნენ ელექტრონის შუქს კარვებში, ამით გვექნება საშვალება ვიმეცადინოთ საღამოობითაც, რაც ძალიან სასურველია.

### ბიბლიოთეკა

მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებისა, ბიბლიოთეკა მოეწყო საუკეთესოდ, მოეწყო აგრეთვე სამკითხველოც. ჟურნალ-გაზეთები ყოველთვის არის სამკითხველოში. ბიბლიოთეკა დიდ სამსახურს გვიწევს და გვაწვდის ყოველგვარ საჭირო მასალას, როგორც პოლიტხელთა სემინარების, ისე პოლიტსაათის და სკოლის გარეშე მუშაობისათვის, ბიბლიოთეკა აწვდის ლენინის კარვებს სათანადო ლიტერატურას და უწევს მათ ხელმძღვანელობას.

### პარტ მუშაობა.

პარტ-მუშაობა მიმდინარეობს შეუფერხებლად. კრებები იმართება სისტემატიურად. უჯრედებზე ბიურო-კოლექტივის მიერ მიმაგრებულია ამხანაგები მუშაობის საწარმოებლად.

კომკავშირიც ამუშავდა. პარტსკოლების მუშაობაც დამაკმაყოფილებელია. ბიურო-კოლექტივი უწევს ხელმძღვანელობას როგორც სასკოლო, ისე სკოლის გარეშე მუშაობას. ბიუროს მიეცა დავალება საკავშირო კომისიას სოფლებთან და სამოქალაქო ორგანიზაციებთან კავშირის გაბმის შესახებ. გვაქვს კავშირი სამხედრო ნაწილებთანაც. კავშირის საშვალებით ვეცნობით მათ მუშაობას, მიღწევებს და ვაცნობთ ჩვენ ცხოვრებას.

### სასკოლო მუშაობა.

სასკოლო მუშაობა ლეგიონში დაიწყო 24 მაისიდან. წინასწარ შერჩეულ იქნენ ჯგუფის ხელმძღვანელები და შესდგა კომისია, რომელიც ამუშავებს კონსპექტებს.

სასკოლო მუშაობაში ჩაბმული არიან ლეგიონის საუკეთესო ძალები, როგორც უფროლიტ შემადგენლობიდან, ისე წითელ არმიელებიდან.

მეცადინეობა სწარმოებს კომპლექსური მეთოდით. ყველა ჯგუფს მიჩნეული აქვს თავისი ადგილი, პროგრამებით და სახელმძღვანელო მასალით ყველანი უზრუნველყოფილი ვართ.

წითელ არმიელნი ხალისიანათ ეკიდებიან მეცადინეობას და სრული იმედია, რომ საბანაკო პერიოდის დამლევამდე დავსძლევთ ზაფხულის პროგრამას.

### სამნეო დარგი.

სამნეო ნაწილის მიერ დამზადებულია სკამები და მაგიდები წითელ არმიელებისათვის სასადილოს მოსაწყობათ. სადილი საუკეთესოდ მზადდება, საერთოდ კვების საქმეს სამნეო ნაწილი აქცევს დიდ ყურადღებას.

კოოპერატიული დუქნები, გახსნილი ბანაკად, დიდ დახმარებას გვიწევენ, დუქნებში მოიპოვება ყოველი საჭირო სანოვაგე და ნივთი.

ტანისამოსის სისუფთავე დაცულია. ყველა სუფთად ინახავს ტანისამოსს და სამუშაოდ ხმარობს ძველ ტანსაცმელს.

ს. იმნაიშვილი.

# ვინ იქნება შემდეგი

გაზ. „წითელ არმიელის“ არსებობა აუცილებელია ჩვენთვის ისე, როგორც წყალი თევზისთვის. ამაში დარწმუნდება ყველა, როდესაც ნახავს ნაწილს ამ გაზეთის მიღების დროს თუ როგორი გულმოდგინეობით კითხულობენ მას ჩვენი წითელ არმიელები. ის დიდ სამსახურს უწევს ჩვენს ჯარს და ერთ უმთავრეს გამტარებლად უნდა ჩაითვალოს იმ კულტურულ-პოლიტიკური აღმზრდელობითი ხასიათის მუშაობისა, რომელიც სწარმოებს ჩვენს რიგებში. ამას ჩვენ კარგად ვგრძნობთ და წარმოდგენილი გვაქვს ისიც თუ როგორი მდგომარეობა შეიქმნება, რომ გაზეთი დაგვეკეტოს.

მესამე ლეგიონის მთელმა შემადგენლობამ საერთო კრებაზე გადასწყვიტა გამოიწერონ კოლექტიურად, პერსონალურად და ლენინის კუთხეებისათვის 110 ცალი გაზეთ „წითელ არმიელი“ და ხელი შეუწყოს მისი გამოცემის საქმეს.

მე-3 ლეგიონის უფპოლიტშემადგენლობა და წითელ არმიელები ვიწვევთ 1-ლი ლეგიონის უფპოლიტშემადგენლობასა და წითელ არმიელებს და 1-ლი დივიზიის შტაბის შემადგენლობას გამოიწერონ გაზ. „წითელ არმიელი“.

გავავრცელოთ ჩვენი გაზეთი ყველგან.

დავალებით სამხკორი კენჭაძე.

# პასუხად ამხ. ნიკოლეიშვილს

გაზ. „წითელ არმიელის“ № 105 მოთავსებული იყო ამხ. ნიკოლეიშვილის წერილი, სადაც ის აღნიშნავს, რომ პირველ ლეგიონის ბატარეიაში 30 კაცამდე დარჩა, რომლებსაც არ მიუღიათ საზაფხულო ტანსაცმელიო, დანარჩენებმა კი ყველამ მიიღოო.

არ ვიცი როგორი განზრახვით მოათავსა ამხანაგმა ასეთი ყალბი ცნობა და შეცდომაში შეიყვანა, როგორც მკითხველები, ისე რედაქციაც.

ლეგიონის ბატარეიის სრული შემადგენლობა დაკმაყოფილებული იქნა ტანსაცმელით სხვებთან ერთად 11 მაისს შტატის მიხედვით. ამის შემდეგ გაუგებარია, რომელ 30 კაცზე ლაპარაკობს ამხანაგი. ბატარეია პირველ რიგში იქნა დაკმაყოფილებული ტანსაცმელით და ამას დაამტკიცებს ამავე ნაწილის წითელ არმიელებისა და მეთაურთა შემადგენლობა.

არ არის კარგი ასეთი ყალბი ცნობებით კვებოთ ჩვენი გაზეთის მკითხველები.

ა. რამიშვილი.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი

### მოგვაქციეთ ყურადღება.

მე-3 ლეგიონის 6 ასეულიდან მივლინებული ვართ ახალქალაქის სამხედრო კომისარიატში რამოდენიმე წითელ არმიელები, რომლებსაც არ მიგვიღია აპრილის და მაისის ჯამაგირები. ამას გარდა არ მიგვიღია ტანსაცმელი და ფეხსაცმელები. არ მოგვსვლია რამოდენიმე ხანია სარეცხისთვის საჭირო ფული და წვირე გვჭამს. საჭიროა არ დაგვივიწყებდეს ასეული და მოგვაქცევდეს საჭირო ყურადღებას.

ს. წიქარიშვილი.

### საჭიროა კოოპერატიული დუქანი.

1-ლი ლეგიონის ბანაკის წინ გახსნილი აქვთ სავაჭროები კერძო პირებს, რომლებიც ტყავს გვაძრობენ საჭირო ნივთების შეძენის დროს. კოოპერატიული სავაჭრო აუცილებელია ბანაკში. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს სამხედრო მომხმარებელ საზოგადოებამ „ბოეცმა“ და გახსნას სავაჭრო კიოსკები, რომ საშვალება არ მიეცეთ კერძო ვაჭრებს გაგვყვლიფონ.

გ—ლი

### მოგვეცით პარიკმახერი.

ცხენ.-ლეგიონის ყაზარმებში დარჩენილ ნაწილს არა ჰყავს პარიკმახერი. არც აქვთ წითელ არმიელებს საშვალება კერძო მოხელეებთან იარონ და ფული აძლიონ, საჭიროა მოგვექცეს ყურადღება და დაგვინიშნონ ერთი პარიკმახერი.

ცეცხლი.

# სამხედრო ქრონიკა

### ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და სამხედრო მოსამსახურეები.

რესპუბლიკის სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს ბრძანებით ყველა ნაწილების მეთაურთ ევალებათ მტკიცედ შეითვისონ და აუხსნან წითელ არმიელებს 1926—27 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადებში სამხედრო მოსამსახურეებისათვის შემოღებულ შეღავათებს. ადგილებზე გაცემულია განკარგულება, დამზადებული იქნეს მოწმობები შესაფერი ფორმით შეღავათების მიღებისათვის. სამმართველოებმა თავის დროზე უნდა გადაუგზავნონ ყველა ნაწილებს ასეთი მოწმობები, რომ მოთხოვნის თანავე შეიძლებოდეს მათი გაცემა.

### უცხოეთში გასაგზავნი წითელ არმიელთა წერილები.

უცხოეთში გაგზავნილ წითელ არმიელების წერილებს ხშირად არა აქვთ დაკრული უცხოეთის კორესპონდენციისათვის შემოღებული შესაფერი ღირებულების მარკები.

მუშურ—გლეხური წითელი არმიის მთავარ სამმართველომ განმარტა, რომ წითელ არმიელთა წერილები ამ შემთხვევაში არ სარგებლობენ არავითარი შეღავათით და ჩვეულებრივად უნდა გადაიხადონ მათ ამისთვის შესაფერი საფასური.

### სამხედრო განყოფილებები სამოქალაქო პრესაში.

სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების სამოქალაქო განყოფილების ბიურომ მოისმინა მოხსენება სამხედრო განყოფილებების მუშაობის შესახებ სამოქალაქო პრესაში.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა განყოფილებებმა გააუმჯობესეს მუშაობა უკანასკნელ ხანებში, მაგრამ მუშაობის უფრო ნაყოფიერად გამოყენების მიზნით საჭიროდ იქნა ცნობილი, რათა ზოგიერთ გაზეთებში არ თავსდებოდეს უმნიშვნელო ინფორმაცია, როგორც ამჟამად, საიგიტაციო მასალა ვერ არის შესაფერი, ხშირად მასალას არა აქვს ყოველდღიური სამხედრო ხასიათი. სამოქალაქო პრესის ბიურომ მიუთითა სამხედრო განყოფილებების ხელმძღვანელებს, რათა ისეთი მასალები იქნეს მიწოდებული, როგორიც შეეფერება ამა თუ იმ გაზეთის მკითხველებს.

# შეისწავლე სამხედრო ტეხნიკა

### მოკლე რადიო-ტალღები.

უკანასკნელ ხანებში მოკლე რადიო-ტალღებმა დიდი მომხრეები იპოვეს. თითქმის ყველა ქვეყნებში სწარმოებს ცდები—რადიო-ცნობების გადაცემასა და მიღებაზე—მოკლე რადიო ტალღების საშვალებით.

მცირე რადიო გადაცემის გამოყენების დროს მეტად საგულისხმიერო შედეგებია მიღებული ყველგან.

რადგანაც ყველას იზიდავს რადიო გადაცემის საქმე მოკლე რადიო ტალღების გამოყენებით და განსაკუთრებით სამხედრო მიზნებისათვის, სრულიად ბუნებრივია, რომ დიდი ინტერესით ეკიდებიან ამ საქმეს საფრანგეთის სამხედრო წრეები.

სამხედრო რადიო სპეციალისტები საფუძვლიანად სწავლობენ ამ საკითხს და ცდილობენ გამონახონ რაც შეიძლება მოკლე რადიო ტალღები, რომლებიც უფრო კარგი გამოსაყენებელი იქნება სამხედრო მიზნებისათვის.

# ნარევი

### დინოზავრის კვერცხი.

დინოზავრი ძველის ძველი ცხოველია. ის ეხლა აღარ არსებობს. უკვე გადაშენდა. მეცნიერებმა დაახლოვებით აღადგინეს მისი სახე.

საინტერესოა ის, რომ ერთ ერთ არქეოლოგმა აზიაში სამეცნიერო მოგზაურობის დროს უდაბნო—გობში—(მონგოლეთი) იპოვა დინოზავრის კვერცხები ქვიშაში დამალული.

გამილტონის (ამერიკა) უნივერსიტეტის პროფესორ ჯონსონმა შეიძინა აღნიშნულ არქეოლოგისაგან ერთი კვერცხი.

ჯონსონმა კვერცხი მოათავსა სპეციალურად დამზადებულ დიდ ინკუბატორში (წიწილების ხელოვნურად გამოსაჩეკი მანქანაა). მან გასწმინდა კვერცხი ქვის გარსისაგან, რომელიც შამოსდებოდა მას მთელი საუკუნოების ქვიშაში გდებით. რამოდენიმე დღის შემდეგ კვერცხის ტემპერატურამ თანდათან მოუმატა. ხუთი დღის განმავლობაში, ჯონსონის აზრით კვერცხიდან უნდა გამოჩეკილიყო დინოზავრი. მეექვსე დღეს მიუხედავათ დიდი ზრუნვისა, რომ ინკუბატორში არ შენელებულიყო სითბო კვერცხმა მაინც იწყო შენელება.

ის იმედი, რომ მრავალი საუკუნოების იქით არსებულ დინოზავრის კვერცხიდან შესძლებდა ახალგაზრდა დინოზავრის მიღებას, ჯონსონმა დასტოვა.

ჯონსონი დარწმუნებულია, რომ მან ვერ გამონახა ტემპერატურის ის ნორმა, რომელიც საჭიროა დინოზავრის კვერცხის გამოსაჩეკად.

აგრეთვე შეუძლებელი გახდა იმის გაგება თუ რამდენი დღე უნდა იქნეს კვერცხი გაჩერებული ინკუბატორში.

ჯონსონმა გასტეხა კვერცხი და ნახა შიგ უცნაური ჩანასახი უზარმაზარი თავითა და მეტად წვრილი ფეხებით.

# პასუხი სამხკორებს

**გავაშელიშვილს** (4 ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის.

**კალანდაძეს** (3 ლეგ.) კორესპონდენცია „ბანაკში გასვლის შესახებ“ არ დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

**ლომსაძეს, კაციაშვილს და სეფაშვილს.** თქვენი კორესპონდენციები წვრილმან საკითხებს ეხება. ჩვენთვის გამოუსადეგარია. გადაეცით რედკოლეგიას კედლის გაზეთისათვის.

# ვის აქვს საწინაალმდეგო?

მე-2 ქართულ მსროლელ ლეგიონის სკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები, ამავე სკოლის კურსანტებს პარტიაში კანდიდატად ჩასარიცხავად:

1) ალექსანდრე მაქსიმესძე ლეჟავას (ქუთაისის მაზრა, სოფ. დიდი-ჯიხაისში მცხოვრები ა. ლ. კ. კ. წ. 1919 წ.), 2) გიორგი ფილიპესძე წახნალიძეს (ზუგდიდის მაზრის, სოფ. ჭოლა მცხ. ა. ლ. კ. კ. წ. 1921 წლიდან.), 3) ერმილე ერასტოსძე გაბელიას (სენაკის მაზ. სოფ. საკაჭარავოს მცხ. ა. ლ. კ. კ. წ. 1925 წ.) 4) ლადო დავითისძე გეთიაშვილს (სიღნაღის მაზ. სოფ. ჯიძითის მცხ. ა. ლ. კ. კ. წ. 1925 წ.), 5) ალექსანდრე ილიკოსძე აგლაძეს (რაჭის მაზრის სამთაშის მცხ. ა. ლ. კ. კ. წ. 1925 წ.), 6) ერმილე გიორგისძე იკონეიშვილს (ქუთაისის მაზ. სოფ. ჯიხაისში მცხ. ა. ლ. კ. კ. წ. 1924 წ.), 7) არშაკ ეფრემისძე კირაკოზოვს (ქალ. თელავის მცხ. ა. ლ. კ. კ. წევრი 1920 წ.) 8) ემელიან მიხეილისძე წულაიას (ოზურგეთის მაზ. სოფ. გორა-ბერეჟოულის მცხ. ა. ლ. კ. კ. წ. 1924 წ.), 9) ალექს. თომასძე რეხვიაშვილს (რაჭის მაზრა სოფ. ჭიორას მცხ. ა. ლ. კ. კ. წ. 1925 წ.).

თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინაალმდეგო მათი პარტიაში მიღების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ 10 დღის განმავლობაში.

კომუჯრედის პ. მ. მდივანი სარ. სეირონოვი.

# სამხედრო წესდებების გამოცემა

ქართულ სამხედრო სარედაქციო საგამომცემლო (მთავარ საწესდებო) კომისიამ ახლად გამოუშვა ჯარის ნაწილებისათვის „მაქსიმის“ სისტემის მძიმე ტყვიამრფქვევი. აგრეთვე გამოცემული არის: 1. „დრ. სადისციპლინო წესდება“, 2. დრ. საბრძოლო წესდება ნაწ. I, 3. „სროლის დრ. წესდება“ ნაწ. სასროლო წესდება იარაღი 1891 ნიმუშის შაშხანა, 4. „მოIკაზმულობა საველე არტილერიისა“ და 5. ახლად შესწორებული სამხედრო-ტეხნიკური ლექსიკონი.

ნაწილებს, რომელთაც ჯერ არ მიუღიათ აღნიშნული წესდებები და ლექსიკონი, მიმართონ სამხედრო სარედაქციო კომისიას (კეცხოველის ქ. № 3).

# უცხოეთის არმიებში

## დახვრეტა ფურცლების გავრცელებისათვის

იმის შესახებ თუ რა ზომებს ღებულობს მთავრობა კომუნისტური ლიტერატურის გავრცელებისათვის, სჩანს ჟურნალ „სენაციულში“ მოთავსებული წერილიდან.

„რამოდენიმე დღის წინად 10 ლეგიონის ჯარისკაცი—ნიკოლოზ ფილასი გაასამართლა სამხედრო სამამართლომ ქ. ლვოვში. მას ბრალს სდებდენ იმაში, რომ სამხედრო მეცადინეობის დროს, ის ურიგებდა ჯარისკაცებს კომუნისტურ ფურცლებს და აღელვებდა მათ. ბრალდების დამტკიცების შემდეგ სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა ნიკოლოზ ფილას დახვრეტა.

### ამერიკის ახალი საავიაციო პროგრამა.

შეერთებულ შტატების პარლამენტმა დაამტკიცა საავიაციო აღმშენებლობის ახალი პროგრამა, რომელიც გათვალისწინებულია 5 წლისათვის 1926 წლიდან დაწყებული. ამ ხნის განმავლობაში 1926 წ. 1-ლი ივლისიდან 1931 წლის 30 ივნისამდე დამზადებული იქნება 1614 ჰაეროპლანი, რომლებიც აღჭურვილი იქნება ყოველგვარი მოწყობილობით; 2 მაგარი დირიჟაბლი, 160.000 ათასი კუბიკური მეტრის მოცულებით თითეული და ერთიც მცირე მოცულების საცდელი დირიჟაბლი.

ამ პროგრამის სისრულეში მოსაყვანად საჭიროა 85 მილიონი დოლარი. (170.000.000 მანეთი).

დამტკიცებული პროგრამა თვალსაჩინოთ გვიჩვენებს, რომ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს გათვალისწინებული აქვთ ავიაციის როლი მომავალ ომებში და ენერგიულად ემზადებიან ამისთვის.

### იტალიის საჰაერო ფლოტი.

იტალიის პარლამენტში სახელმწიფო საჰაერო ფლოტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა იტალიის ავიაციის მინისტრი, რომელმაც შემდეგი ცნობები მოიყვანა ავიაციის შესახებ.

ამ ჟამად იტალიის განკარგულებაშია 800 აპარატი (ესკადრა) რომელშიდაც იმყოფება 13 ათასი მსახური. კვალიფიკაციურ მფრინავების რიცხვი ფლოტში აღწევს 1.200 კაცამდე. ახლად თითქმის სრულიად მომზადებულთა რიცხვი 500 კაცამდე. ყველა აპარატები ახალი კონსტრუქციისა და სისტემით არის აგებული. მიმდინარე წელში საჰაერო ესკადრას შეემატება კიდევ 700 ახალი ჰაეროპლანი, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან უახლოესი ტიპის მამოძრავებლებით.


# რა ღირს 1-ლ ივნისიდან „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 35 კაპ.
3 თვით — 90 კ.
6 თვით — 1 მ. 70 კ.
12 თვით — 3 მ. 20 კ.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 30 კაპ.
3 თვით — 80 კ.
6 თვით — 1 მ. 50 კაპ.
12 თვით — 3 მ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


ნ. დ. ს. ც. სამხედრო- სტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.